პროფესიული მომზადების პროგრამა:

,,ქართული ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა“

პროგრამის სახელწოდება: ,,ქართული ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა“
პროგრამის სახე: **[x] პროფესიული მომზადება** **[ ] პროფესიული გადამზადება**
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: **[ ] 2 [x] 3 [ ] 4 [ ] 5**
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 13
კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 20 სთ.
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური - 5, მაქსიმალური - 12
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: საბაზო განათლება
პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია, კურსდამთავრებულთა ხელშეწყობის მიზნით, მოკლე ვადაში უზრუნველყოს ისეთი კონკურენტუნარიანი კადრის მომზადება, როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო შრომის ბაზრისთვის, რომელსაც ეცოდინება ქართული მხატვრული ქსოვილები, ესკიზისა და ხელით საქსოვი დაზგის მომზადება, ფარდაგის და ხალიჩის ქსოვა.
სწავლის შედეგები : **მსმენელს შეუძლია**: 1. ქართული მხატვრული ქსოვილების დახასიათება 2. ფარდაგის ქსოვა 3. ხალიჩის ქსოვა
პროგრამის შემუშავების საფუძველი: პროგრამა შემუშავებულია სსიპ კოლეჯის „მერმისი“ დირექტორის მიერ N04-164, 31.05.2019წ ბრძანებით დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მხატვრული ქსოვა“ (ცვლილება 2021 წლის 28 აპრილი N04-140) ბრძანებით.
პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ საბაზო განათლების მქონე პირს. პროგრამა განხორციელდება 13 კვირის განმავლობაში. მომზადების პროგრამის მოცულობა 255 საათია, აქედან შეფასებას დაეთმობა 5სთ. (მე-7 და მე-13 კვირას). კვირეული საათობრივი დატვირთვა შეადგენს 20სთ., ბოლო მე-13 კვირას 15სთ. პროგრამის მსვლელობისას მსმენელები შეისწავლიან ნართის კლასიფიკაციას, ფარდაგისა და ხალიჩის ქსოვის ტექნოლოგიურ პროცესს.

პროფესიული მომზადების პროგრამის მსმენელების შეფასება განხორციელდება ტესტირებით და პრაქტიკული დავალებით შეფასების ინსტრუმენტები:

1. ტესტი
2. პრაქტიკული დავალება

შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპზე დაფუნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:

ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;

ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

პროფესიული მომზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს კვალიფიკაციის დამადასტურებელ სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს დანართით, რომელშიც ფიქსირდება კურსდამთავრებულის მიერ პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგები.